„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლეთა შეუფერხებელი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ივლისის N371 დადგენილებით განსაზღვრული სამთავრობო კომისიის სხდომის

ოქმი N7

28 დეკემბერი 2018 წელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
თავმჯდომარეობდა:	**გიორგი წოწკოლაური** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.
კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:	**ივანე ბიბილაშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი; **ნოე ქინქლაძე** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი; **მარინა აბრამიშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსი; **ბესარიონ ბუჩუკური** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; **ზვიად ლათიბაშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; **ნოდარ ყოჩიშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ლოჯისტიკის დეპარტამენტის ტექნიკური მომსახურების სამმართველოს უფროსი;

ნანი ალანია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი;

მანანა გორდულაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

ბადრი ჩერქეზიშვილი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

დავით მეტრეველი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

ჯუანშერ ბურჭულაძე - სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე;

ნინო ნოზაძე - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი.

კომისიის ესწრებოდნენ: სხდომას **მიხეილ წამალაშვილი** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსი;

ზვიად კახიანი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის ექსპლუატაციის სამმართველოს აღრიცხვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი

კომისიის წევრმა ბ-ნ. ბესარიონ ბუჩუკურმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია განხორციელებული საქმიანობის შესახებ:

- **შედგენილია და კომისიის წევრებისთვის წარმოდგენილია ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სალიკვიდაციო ბალანსი;**
- **კომისიის წევრებისთვის წარმოდგენილია ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ჩატარებული დებიტორ-კრედიტორების აღრიცხვის (დაწყების თარიღი - 01.12.2017. დასრულების თარიღი - 30.05.2018) დოკუმენტაცია;**
- **უფლებამონაცვლეთა შეუფერხებელი ფუნქიონირების უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსური დოკუმენტაცია, საჭიროების მიხედვით, გადაცემულია უფლებამონაცვლე უწყებებზე;**
- **ასევე, უფლებამონაცვლე უწყებებზე გადაცემის მიზნით, დამუშავდა მიმდინარე 2018 წელს წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების შესახებ ინფორმაცია;**
- **მომზადებულია მიღება-ჩაბარების აქტები უფლებამონაცვლე უწყებებზე ქონებისა და დოკუმენტაციის გადაცემის მიზნით.**

კომისიის წევრმა ქ-ნ. მანანა გორდულაძემ წარმოადგინა ყოფილ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში არსებული მასალები, რომელთა ნაწილი რჩება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, ხოლო დარჩენილი ნაწილი გადასაცემია უფლებამონაცვლე უწყებებზე, საჭიროების მიხედვით მათი მოთხოვნის საფუძველზე.

კომისიის წევრმა ქ-ნ. ნანი ალანიამ კომისიის N5 სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად, წარმოადგინა ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ბეჭდებისა და შტამპების განადგურების აქტი.

საკითხი - 1.

თამარაშვილის ქ. N 15ა-ში მდებარე (მე-2 სართული, 112.0 კვ.მ ს.კ.01.10.16.003.008.01.519) ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარგებლობაში არსებული ფართის, სადაც განთავსებულია რეგისტრაციის ცენტრი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გადაცემის თაობაზე.

კომისიის წევრმა ბ-ნ. ივანე ბიბილაშვილმა კომისიის წევრებს აცნობა, რომ აღნიშნული ფართით მოსარგებლედ საჯარო რეესტრში დაფიქსირებულია ყოფილი ოკუპირებული

ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, მაგრამ ბალანსზე მისი ღირებულება არ არის ასახული, რის გამოც, მიზანშეწონილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალოს აღნიშნული ფართის აუდიტორიული შეფასება, ბალანსზე განსაზღვრული ღირებულებით აყვანა და შემდეგ მისი გადაცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის არა უგვიანეს 2019 წლის 1 აპრილისა.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომ ჩატარდეს თამარაშვილის ქუჩაზე, მეორე სართულზე არსებული რეგისტრაციის ცენტრის მიერ დაკავებული 112.0 კვ.მ. ფართის აუდიტი, შეფასდეს, აისახოს სამინისტროს ბალანსზე ღირებულებით და შემდეგ მოხდეს მისი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ბალანსიდან ბალანსზე გადაცემა არაუგვიანეს 2019 წლის 1 აპრილისა.

საკითხი - 2.

მარტყოფის შენობაში არსებული ამორტიზებული ავეჯისა და ინვენტარის ჩამოწერის თაობაზე.

კომისიის წევრმა ბ-ნ. ბადრი ჩერქეზიშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა მარტყოფში არსებული შენობა, რომელშიც დაწყებულია სარემონტო სამუშაოები. საჭირო გახდა შენობიდან ავეჯისა და ინვენტარის გამოტანა, რომელიც დაზიანებულია და არ ექვემდებარება შეკეთებას.

აზრთა ურთიერთგაცვლის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

გადაცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მარტყოფის შენობის ავეჯისა და ინვენტარის ფაქტობრივი ნაშთი (დანართი N1 (1-4)), ამასთან, შემდგომი ექსპლუატაციისთვის უვარგისი ქონება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩამოიწეროს არსებული წესით.

საკითხი - 3.

ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შენობის მოვლა-შენახვის ხარჯების განაწილების თაობაზე.

კომისიის წევრმა ბ-ნ. ბესასიონ ბუჩუკურმა კომისიის წევრებს აცნობა, რომ ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N15ა-ში მდებარე ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შენობის მე-5 სართულის ნაწილში კვლავ რჩებიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში გადასული თანამშრომლები. გამომდინარე იქიდან, რომ 2019 წლის 1

იანვრამდე ვერ მოესწრება შენობის აღნიშნული ნაწილების დამოუკიდებელი გამრიცხველიანება ხარჯების გაყოფის მიზნით, მიზანშეწონილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოხდეს აღნიშნული ხარჯების დაფარვა გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, 2019 წლის 1 აპრილამდე გაწიოს ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შენობის მოვლა-შენახვის, დაცვის, დასუფთავების, საერთო კომუნალური და კომუნიკაციის (ტელეფონი, ინტერნეტი) ხარჯები (მიუხდავად იმისა, რომ ამავე შენობაში იმყოფებიან ყოფილი დევნილთა სამინისტროს ის თანამშრომლები, რომლებიც დღეის მდგომარეობით გადავიდნენ შსს-სა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში).

საკითხი - 4

საქართველოს მთავრობის №371 დადგენილებით განსაზღვრული სამთავრობო კომისიის მიერ შექმნილი საინვენტარიზაციო ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში.

კომისიის წვრმა ბ-ნ. ნოდარ ყოჩიშვილმა კომისიას მოახსენა საინვენტარიზაციო ჯგუფის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ (იხ. თანდართული ანგარიში). მან აღნიშნა, რომ კომისიის მე-5 სხდომაზე მოსმენილი იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების სამინისტროს უფლებამონაცვლეთა მიხედვით გადანაწილების ანგარიში (იხ. საინვენტარიზაციო ჯგუფის ოქმი N1).

განვლილ პერიოდში, საინვენტარიზაციო ჯგუფის მიერ დაზუსტდა და მომზადებული იქნა გადასაცემად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში დასაქმებული ყოფილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომლების მოხმარებაში არსებული საოფისე ავეჯი, ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა რაოდენობა შეთანხმებულია უფლებამონაცვლე სამინისტროების შესაბამის სამსახურებთან. ამასთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უკვე გადაეცა დასაქმებული თანამშრომლების მოხმარებაში არსებული ქონება (მიღება-ჩაბარების აქტი და ქონების ჩამონათვალი იხილეთ საინვენტარიზაციო ჯგუფის ანგარიშში). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, დანართით N1 (1-4) და დანართით N2 (1-4)

განსაზღვრული ქონება გადაეცემა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით. ხოლო, საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს გადაეცემა მათ მიერ შესაბამისი მოთხოვნების წარმოდგენისთანავე.

კომისიის წევრმა ბ-ნ. ივანე ბიბილაშვილმა კომისიას მოახსენა, რომ „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის (6 დეკემბერი 2018 წ. №3874) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით გადაეცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის 2018 წლის აგვისტოში გადაცემული ქ.თბილისში, ლიბანის ქ. N31-ში 1-ელ სართულზე არსებული 204.59 კვ.მ. ფართი (ს/კ 01.11.03.004.001.01.504), სადაც განთავსებულია მიგრანტთა ინტეგრაციის ცენტრი, ექვემდებარება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გადაცემას, რაზედაც მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების მომზადების შემდეგ განხორციელდება აღნიშნული ქონების გადმოცემა. გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მომართა (21.12.2018 №MIA 3 18 03076625) ქ. თბილისში, მ. თამარაშვილის ქ. N15ა-ში ყოფილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შენობის მე-5 სართულზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასული თანამშრომლების მიერ დაკავებული დაუზუსტებელი 360.19 კვ.მ. ფართის სარგებლობაში გადაცემის შესახებ, რისთვისაც, ასევე საჭიროა შესაბამისი აზომვითი და აუდიტორული ღონისძიებების ჩატარება ამ ფართის დაზუსტებისა და ღირებულების დადგენის მიზნით. ეს საკითხები წამოჭრილი იქნა მიმდინარე თვეში და შესაბამისად, საინვენტარიზაციო ჯგუფი მათი გადაჭრის შესაძლებლობებს მოკლებული იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით სამუშაოებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ჩაატარებს და არა უგვიანეს 2019 წლის 1 აპრილისა აღნიშნული ქონება გადეცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

სხვა მოთხოვნები კომისიისა და სამინისტროს წინაშე არ წარმოდგენილა.

კომისიის წვრმა ქ-ნ. ნინო ნოზაძემ განაცხადა, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატი ეთანხმება კომისიაზე წარმოდგენილი აპარატის თანამშრომლების მოხმარებაში არსებული ავეჯის, ინვენტარისა და კომპიუტერული ტექნიკის ჩამონათვალს და უახლოეს პერიოდში წარმოდგენილი იქნება შესაბამისი მოთხოვნა მათი აპარატის სარგებლობაში გადაცემის შესახებ. მან კომისიას აგრეთვე მოახსენა, რომ მისაღებია კომისიის გადაწყვეტილება 2019

წლის 1 აპრილამდე კომუნალური, ინტერნეტისა და საკუმუნიკაციო ხარჯების ანაზღაურების შესახებ, მით უფრო, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ თამარაშვილის ქ. N15ა-ში არსებული შენობის მე-5 სართულზე აპარატის თანამშრომელთა მიერ დაკავებული ფართის ალტერნატიული ფართის მოძიების საკითხი წარდგენილია საქართველოს მთავრობაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიაში.

კომისიაზე მოწვეულმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თანახმაა მიიღოს საინვენტარიზაციო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ქონების ჩამონათვალი ქ. თბილისში, მ. თამარაშვილის ქ. N15ა-ში მე-5 სართულზე მდებარე შენობაში განთავსებული, დასაქმებული თანამშრომლების მოხმარებაში არსებული საოფისე ავეჯი, ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა, აგრეთვე, გარდაბნის რაიონის სოფ. მარტყოფში არსებული თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ავეჯი, ინვენტარი და მარაგები. რაც შეეხება მწყობრიდან გამოსულ და უვარგისად მიჩნეულ საგნებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები შიდა რეგულაციებით განახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს მათი ხმარებიდან ამოღების/ჩამოწერის თვალსაზრისით.

კომისიის წევრმა ბ-ნ. ბესასიონ ბუჩუკურმა კომისიის წევრებს აცნობა, რომ 12 ივლისის მდგომარეობით, ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აქტივების ჯამური ღირებულება შეადგენდა 148,063,377.50 ლარს:

ანგარიში	დასახელება	სადებეტო ნაშთი
1625	ფულადი დოკუმენტები	5 118,00
1626	სათადარიგო ნაწილები	540,00
1627	სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	86 069,45
2111	საცხოვრებელი შენობები	87 415 027,12
2112	არასაცხოვრებელი შენობები	3 294 261,44
2119	სხვა ნაგებობები	
2121	სატრანსპორტო საშუალებები	807 647,51
2122	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	599 639,10
2132	არამატერიალური ძირითადი აქტივები	210 033,86
2141	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	53 908 220,18
2210	ტექნიკა	109 127,30
2220	ინვენტარი	266 764,61
2230	მოწყობილობა	1 411,00
2240	სხვა მცირეფასიანი აქტივები	38 391,05
2400	არაწარმოებული აქტივები	33 000,00

04	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	19 519,70
08	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	980 002,27
10	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	288 604,86

148 063 377,5

დღეის მდგომარეობით, სხვადასხვა სტრუქტურებზე გადაცემული და გადასაცემია შემდეგი ღირებულების აქტივები და ვალდებულებები, მათ შორის, შრომის ანაზღაურების ნაწილში:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია:

1. 2018 წლის 7 აგვისტო 2 ავტომობილი საერთო ღირებულებით: 96,834.89 ლარი. (მიღება-ჩაბარების აქტი N1; 07.08.2018)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო:

1. 2018 წლის 22 აგვისტოს 2 ავტომობილი საერთო ღირებულებით: 33,965.85 ლარი. (მიღება-ჩაბარების აქტი N1; 22.08.2018)
2. 2018 წლის 9 ნოემბერი ინვენტარი საერთო ღირებულებით: 7,942.65 ლარი. (მიღება-ჩაბარების აქტი; 09.11.2018, დანართი N1)
3. 2018 წლის 27 დეკემბერი დაუმთავრებელი მშენებლობები საერთო ღირებულებით: 13,880,869.84 (მიღება-ჩაბარების აქტი; 27.12.2018)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:

1. „საქრთველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის N3024 კანონის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა:
   - ქ. თბილისში, ლიბანის ქ. N31 -ში 1 სართულზე არსებული 204.59 კვ.მ. ფართი (ს/კ 01.11.03.004.001.01.504) ღირებულებით 260,000.0 ლარი (მიგრანტთა ინტეგრაციის ცენტრის შენობა)
   - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფში არსებული თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის მიწის ნაკვეთი 6,616.0 კვ.მ. (ს/ლ. 81.10.09.339) ღირებულებით 33,000.0 ლარი, მასზე განლაგებული ორი შენობა-ნაგებობა: 714 კვ.მ. ფართი ნარჩენი ღირებულებით - 586 221,51 ლარი და 1 421,4 კვ.მ. ფართი ნარჩენი ღირებულებით - 1 943 342,67 ლარი და ამავე ტერიტორიაზე, სოფ. მარტყოფში არსებული თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული დამხმარე შენობა ნაგებობები N3; N4; N5; N6 (ღირებულების გარეშე);

2. 2018 წლის 22 აგვისტოს გადაეცა 2018 წლის 12 ივლისამდე პერიოდის სახელფასო დავალიანებები ჯამში 14 290,91 ლარის ოდენობით (დანართი N4);
3. 2018 წლის 14 დეკემბერს გადაეცა პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტები (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარებები ანგარიშ-ფაქტურები და სხვა) (დანართი N5);
4. გადასაცემია სოფელ მარტყოფში მდებარე თავშესაფარის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში განთავსებული აქტივები ღირებულებით:
    - ძირითადი აქტივები 112,764.71 ლარი. (დანართი N1-1)
    - გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები 57,392.90 ლარი. (დანართი N1-2)
    - ბალანგარეშე აქტივები 61,607.78 ლარი. (დანართი N1-3)
    - ამორტიზირებული აქტივები 6,093.05 ლარი. (დანართი N1-4)
5. გადასაცემია, მ. თამარაშვილის N15ა-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული აქტივები ღირებულებით:
    - ძირითადი აქტივები 28,107.58 ლარი. (დანართი N2-1)
    - გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები 23,913.14 ლარი. (დანართი N2-2)
    - ბალანსგარეშე აქტივები 14,893.13 ლარი. (დანართი N2-3)
    - ამორტიზირებული აქტივები 31,275.38 ლარი. (დანართი N2-4)
6. გადასაცემია წინამდებარე ოქმის პირველ და მეოთხე საკითხებად წარმოდგენილი ორი უძრავი ქონება, კერძოდ, თამარაშვილის ქ. N 15ა-ში მე-2 სართულზე მდებარე 112.0 კვ.მ ფართი და ამავე მისამართზე მე-5 სართულზე მდებარე დაუზუსტებელი 360.19 კვ.მ. ფართი, რომელთა გადაცემა მოხდება შესაბამისი სამუშაოების (აზომვითი ნახაზების მომზადება, ქონების შეფასება) დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 2019 წლის 1 აპრილისა. ამ ვადაში ქონებების გადაუცემლობის შემთხვევაში, აღნიშნული ქონების მოვლა-შენახვის ხარჯების ანაზღაურება, ქონების გადაცემის თარიღამდე, მოხდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

<u>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახემწიფო მინისტრის აპარატი:</u>

1. 2018 წლის 18 ოქტომბერს გადეცა 1 ავტომობილი საერთო ღირებულებით: 22,950.23 ლარი. (მიღება-ჩაბარების აქტი; 18.10.2018)
2. გადასაცემია შემდეგი აქტივები:
    - ძირითადი აქტივები 8,607.11 ლარი. (დანართი N3-1)
    - გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები 12,134.17 ლარი. (დანართი N3-2)
    - ბალანგარეშე აქტივები 4,185.26 ლარი. (დანართი N3-3)
    - ამორტიზირებული აქტივები 18,902.59 ლარი. (დანართი N3-4)

გარდა ამისა, 12 ივლისის შემდგომ ხდებოდა მარაგების ყოველდღიური ხარჯვა, რაზეც არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: საინვენტარიზაციო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ანგარიში მიღებული იქნას და ჯგუფის წინაშე დასმული დავალება ჩაითვალოს შესრულებულად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე მოამზადოს შესაბამისი ბრძანება ქ. თბილისში, ლიბანის ქ. N31-ში არსებული მიგრანტთა ინტეგრაციის ცენტრის გადაცემის შესახებ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოთხოვნათა საფუძველზე მათთვის გადასაცემი ქონების გადაცემის შესახებ ბრძანების მომზადება, აგრეთვე, ქ. თბილისში, მ. თამარაშვილის ქ. N15ა-ში არსებული შენობის მე-5 სართულზე დაუზუსტებელი 360.19 კვ.მ. საოფისე ფართის და თამარაშვილის ქ. 15ა-ში მე-2 სართულზე მდებარე 112.0 კვ.მ ფართი აზომვითი და აუდიტორული ღონისძიებების ჩატარება და გადაცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად.

საქართველოს შინაგან საქმეთა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებმა უზრუნველყონ აღნიშნული ქონების გადაცემის შესახებ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის“ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

ამასთან, კომისიამ ცნობად მიიღო ბ-ნ. ბესარიონ ბუჩუკურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

დანართი: მონაცემები სამთავრობო კომისიის სხდომაზე კომისიის წევრების დასწრების შესახებ.

სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე		**გიორგი წოწკოლაური**
სამთავრობო კომისიის მდივანი		**ჯუნა გერსამია**

დანართი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლეთა შეუფერხებელი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

სამთავრობო კომისიის **N7** სხდომა

28 დეკემბერი **2018** წ. **18:00**

N	სახელი გვარი	ტელეფონი	მეილი	ხელმოწერა
1	გიორგი წოწკოლაური		gtsotskolauri@moh.gov.ge	
2	გიორგი კაკაურიძე	577051590	giorgi.kakauridze@mof.ge	
3	ივანე ბიბილაშვილი	577770094	d.bibilashvili@gmail.com	
4	ნოე ქინქლაძე	595222000	nkinkladze@moh.gov.ge	
5	ივანე გოლიაძე	577222838	vaniko@moh.gov.ge	
6	მარინა აბრამიშვილი	577555357	mabramishvili@moh.gov.ge	
7	ბესარიონ ბუჩუკური	577282434	BBuchukuri@moh.gov.ge	
8	კახაბერ ძიმისტარიშვილი	577971919	kdzimistarishvili@moh.gov.ge	
9	ზვიად ლათიბაშვილი	599609595	z.latibashvili@mra.gov.ge	
10	ნოდარ ყოჩიშვილი	599859441	n.kochishvili@mra.gov.ge	
11	ნანი ალანია	577735855	nalania@moh.gov.ge	
12	გურამ გიორგობიანი	577551113	GGiorgobiani@moh.gov.ge	

13	მანანა გორდულაძე	595113400	m.gorduladze@mra.gov.ge	
14	ეკატერინე გუნცაძე	577051590	e.guntsadze@mof.ge	
15	გიორგი ფიცხელაური	577151522	gpitskhelauri@nasp.gov.ge	
16	თია მელაძე	577526727	t.meladze@mia.gov.ge	
17	ალექსანდრე კუტიბაშვილი	591404455	a.kutibashvili@mia.gov.ge	
18	ბადრი ჩერქეზიშვილი	577443443	b.cherkezishvili@yahoo.com	
19	დავით მეტრეველი	577284788	d.metreveli@mrdi.gov.ge	
20	ჯუანშერ ბურჭულაძე	599334466	jburchuladze@mdf.org.ge	
21	ნინო ნოზაძე	577999505	ninonozadze111@yahoo.com	
22	ინგა ცირდავა			

ზვიად ასათიანი 577287267

მიხეილ ნადირაშვილი 595-74-99-99